

თარიღი: 31.10.2025

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ ელენე ლუბიანურს

ქალბატონო ელენე,

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგინებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

შპს „ბახვი 2“ პროექტს ახორციელებს მდინარე ბახვისწყალზე ჯამური 35.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ბახვი 2 ჰესის (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ. ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1378-506 მ ნიშნულზე შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2 ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2 ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

ჰესის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დაზუსტდა ჰესების ნაგებობების საპროექტო ნიშნულები და გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროექტის ოპტიმიზაციის თაობაზე.

წერილს თან ერთვის:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშ - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბახვი 2“-ის რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით.


გიორგი აბრამიშვილი

გენერალური დირექტორი
შპს „ბახვი 2“

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„13“ 11 2025
№ 11331